ხელშეკრულება № 4256-30-208
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი „08“ „ივლისი2014 წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“, შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე შიოლაშვილის სახით და **მეორეს მხრივ, შპს "რომპეტროლ საქართველო"** შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის თენგიზ ჭიჭინაძის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ "კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს" 2014 წლის 04 თებერვლის - **2014 წლის განმავლობაში ევროდიზელის (სითხის სახით) და ევრორეგულარის შესყიდვასთან დაკავშირებით** რეკომენდაციის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი/საწვავი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ საწვავის **EURO 4** დიზელის შესყიდვა ივლისის თვის განმავლობაში რამდენჯერმე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.2. საწვავის (**EURO 4** დიზელი) შესყიდვა განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ მითითებულ ნავთობ ბაზაზე.
2.3. საქონლის/საწვავის მახასიათებლები:

#	დასახელება/სახეობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სრული ღირებულება (ლარი)
	EURO 4 დიზელი	18 000	1.91	34380

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 34380 (ოცდა თოთხმეტი ატას სამას ორმოცი) ლარს.
3.2. საწვავის რაოდენობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების 2.3. პუნქტში.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გარდა ტრანსპორტირების ხარჯებისა) მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ნავთობ ბაზიდან მის გაცემამდე.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. *მიმწოდებელი ვალდებულია:*

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში. მიწოდებამდე აცნობოს შემსყიდველს საქონლის მიწოდების ადგილის ზუსტი მისამართი.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

გ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება;

დ) მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის მიწოდების თაობაზე ითვლება შესრულებულად საქონლის მიწოდების შემდეგ მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის მომენტიდან.

4.2. *მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

ა) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად მოითხოვოს შემსყიდველისგან საქონლის ღირებულების დროული ანაზღურება.

4.3. *შემსყიდველი ვალდებულია:*

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ მიმწიდებლის მიერ მითითებული ნავთობ ბაზიდან;

გ) მინიმუმ სამი დღით ადრე შეატყობინოს მიმწოდებელს საქონლის შესყიდვის თაობაზე;

დ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან.

ე) უზრუნველყოს საქონლის ტრანსპორტირება მიმწოდებლის მიერ მითითებული ნავთობ ბაზიდან.

ვ)შეასრულოსამხელშეკრულებითმასზედაკისრებულისხვავალდებულებები.

5. საწვავის ხარისხის და ხელშეკრულებისშესრულებისკონტროლი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის შ.პ.ს თბილსერვის ჯგუფის საყოფაცხოვრებო ნარჩენების განყოფილება

6. ანგარიშსწორება

6.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ერივნულ ვალუტა ლარში, მიწოდებული საქონლის შესაბამისად;

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის

შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან ორი დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას დადასტურებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით. ანგარიშგაქტურის დაუდასტურებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს მიყენებული ზიანი/ზარალის ანაზღაურება მიწოდებული საქონლის სრული ღირებულების ოდენობით.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

10.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

11. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

13. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.
14.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 67
ს/კ 206267494
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTG22
ანგ. № GEL90LB0113172770216000

დირექტორი
თორნიკე შიოლაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „რომპეტროლ საქართველო“
მის: ქ.თბილისი, გამრეკელის ქ. № 19
ს/კ 204493002
პრივატბანკი ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი CAVOGE22
ა/ა GE42TP0036080020000400

კომერციული დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 08 ივლისი 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ ევრო დიზელის საწვავის სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფის"
დირექტორი

თორნიკე შიოლაშვილი –

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფის"
შესყიდვების განყოფილების უფროსი

ნიკო გიგოლაშვილი -